



## CURRICULUM VITAE

1. სახელი ქართლოსი იოსების-ძე ყაჭიაშვილი  
ტელ.: 599 743367  
ი-მეილი: [k.kachiashvili@gtu.edu.ge](mailto:k.kachiashvili@gtu.edu.ge),  
[kkachiashvili@gmail.com](mailto:kkachiashvili@gmail.com)
2. ეროვნება ქართველი
3. პროფესია ინჟინერ-ელექტრიკოსი (კომპიუტერები),  
გამოყენებითი მათემატიკა
4. თანამდებობა პროფესორი
5. ორგანიზაციაში მუშაობა 1981 წლიდან
6. მოღვაწეობის სფერო: მათემატიკური სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი (გარემო, სოფლის მეურნეობა, მედიცინა), მათემატიკური მოდელირება და იმიტაცია, ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების დამუშავება, სისტემური ანალიზი (გარემოს წყლის დაბინძურება), გამოთვლითი მათემატიკა.
7. განათლება: **სკოლა (1957-1967)**. დაამთავრა ოქროს მედალზე.  
**ინჟინერ-ელექტრიკოსი**. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, “ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი”, “ელექტრონული-გამოთვლითი მანქანების” კათედრა, დაამთავრა წითელ დიპლომზე. თბილისი (1967-1972).  
**M-4000 სუპერ-კომპიუტერი**, კიევი, უკრაინა (სექტემბერი-დეკემბერი, 1972 წელი).  
**გამოყენებითი მათემატიკა**. ასპირანტურა, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის “გამოყენებითი მათემატიკის” კათედრა, მოსკოვი, რუსეთი (1974-1977).  
**ტექ. მეც. კანდიდატი** (მარტი, 1978) სპეციალობა: “ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია”. დისერტაცია დაცული იქნა მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში (რუსეთი). დისერტაციის თემა: “მოძრავი ობიექტების აღმოჩენა და მიყოლა რადიოლოკაციური გაზომილი ინფორმაციის საფუძველზე”.  
**ტექ. მეც. დოქტორი** (ოქტომბერი, 1990) სპეციალობა: “კომპიუტერული ტექნიკის, მათემატიკური მოდელირების და მათემატიკური მეთოდების გამოყენება კვლევებში” და “გარემოს, ნივთიერებების, მასალების და

საგნების კონტროლის საშუალებები და მეთოდები”. დისერტაცია დაცული იქნა დ. მენდელეევის სახ. მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (რუსეთი). დისერტაციის სათაური: “მათემატიკური მოდელები, მეთოდები და ალგორითმები ბუნებრივი გარემოს წყლის ობიექტების გაბინძურების დონის კონტროლის სისტემური ავტომატიზაციისათვის”.

8. მუშაობის გამოცდილება:  
09.2011:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (შეთავსებით).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (შეთავსებით).

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების და პარამეტრების შეფასების ორიგინალური მეთოდების და პროგრამული პაკეტების დამუშავება. ბიომეტრიულ სისტემებში ვერიფიკაციის მაღალი საიმედოობის და ეკონომიური მეთოდების დამუშავება. მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.

09.2007-09. 2012:

ლაჰორის სახელმწიფო კოლეჯ-უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლის უცხოელი პროფესორი (პაკისტანი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი-მეცნიერ თანამშრომელი (საზოგადოებრივ საწყისებზე).

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების ბაიესის ტიპის ახალი მეთოდების (უპირობო, პირობითი და მიმდევრობითი) დამუშავება. წარმოების მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტისათვის მათემატიკური მოდელების და მეთოდების დამუშავება.

ორი ასპირანტის ხელმძღვანელი, რომლებმაც დაიცვეს შემდეგი დისერტაციები ფილოსოფიის დოქტორის (მათემატიკა) ხარისხის მოსაპოვებლად 07.05.11-ში: 1. მრავალგანზომილებიანი ნორმალური განაწილების პარამეტრების მიმართ მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ბაიესის მეთოდები; 2. მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ბაიესის მიდგომის განზოგადოება პირობითი ოპტიმიზაციის ამოცანის სახით.

08.2001-09.2007 წ.:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი.

გარემოს დაცვის მათემატიკური მეთოდებისა და პროგრამული საშუალებების დამუშავება. გარემოს, სოფლის მეურნეობის, მედიცინის მონაცემების გამოყენებითი მათემატიკის მეთოდებით IBM – თავსებად პერსონალურ კომპიუტერზე დამუშავება. მონაცემების დამუშავების მათემატიკური მეთოდებისა და პროგრამული საშუალებების შექმნა. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებისა და ალგორითმების დამუშავება.

1992-2001 წ.:

გარემოს მონიტორინგის ეროვნული ცენტრის უფროსი (თბილისი, საქართველო).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (შეთავსებით).

გარემოს მონიტორინგის ავტომატიზაციის მეთოდებისა და საშუალებების დამუშავება: გამოყენებითი პროგრამული პაკეტები, ექსპერიმენტის შედეგების დამუშავება, ატმოსფეროს დაჭუჭყიანების ინფორმაციის და ჰიდროქიმიური მონაცემების, მდინარეების ავარიული დამჭუჭყიანებლების ავტომატური აღმოჩენის ალგორითმები და პროგრამები (IBM-თავსებადი კომპიუტერებისათვის), ინფორმაციის შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობა.

გამზომი საშუალებების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მათემატიკური მეთოდების დამუშავება და მათი პროგრამული რეალიზაცია.

გარემოს მონიტორინგის ავტომატიზაციისა და ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების შექმნილმა პროგრამულმა პაკეტებმა დაიკავეს პირველი ადგილი და მიიღო მთავარი პრიზი საქართველოში დამუშავებული პროგრამული პროდუქციის გამოფენაზე, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა 1999 წლის ივნისში.

1981-1992 წ.:

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ანალიზ-ხელსაწყო”-ს ავტომატიზებული საინფორმაციო-გამზომი სისტემების განყოფილების გამგე (ქ. თბილისი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი. დაამუშავა მდინერების წყლის გაჭუჭყიანების დონის კონტროლის ავტომატიზებული სისტემები: მდ. მტკვარი (თბილისი), მდ. მოსკოვი (ქ. მოსკოვი), მდ. ტომი (ქ. კემეროვო), ოდესის აზოტის ქარხნის და ქ. რიგის ჩამდინარე წყლების (ქ. ოდესა და ქ. რიგა); წყლის სხვადასხვა ინგრედიენტების გაზომვის მრავალარხიანი ავტომატიზებული ანალიზატორების AMA-203, AMA-206 მათემატიკურ-პროგრამული უზრუნველყოფა; გაზომილი ინფორმაციის დამუშავების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი; სხვადასხვა ანალიტიკური ხელსაწყოებისა და გაზომვის პროცესების მათემატიკური მოდელები, ალგორითმები და პროგრამები, მათ შორის სპეციალური დანიშნულების.

ქ. რიგის ჩამდინარე წყლების კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის დამუშავებულმა ინფორმაციულ-პროგრამულმა და მათემატიკურმა უზრუნველყოფამ 1991 წელს ქ. ტოლიატიში საერთაშორისო ფორუმზე დაიკავა პირველი ადგილი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი ცნობილი ფირმა. სამუშაო შესრულებული იყო ბალტიის ზღვის ეკოლოგიური პროგრამის ფარგლებში.

1977-1981 წ.:

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ელვას” ლაბორატორიის გამგე (ქ. თბილისი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი.

მოდრავი ობიექტების (თვითმფრინავები, რაკეტები, წყალქვეშანავები) აღმოჩენისა და მიყლის მიზნით შექმნა რადიოლოკაციური ინფორმაციის დამუშავების ალგორითმები და პროგრამები ამ ობიექტების განადგურებისათვის. შექმნა კომერციული და სპეციალური დანიშნულების კომპიუტერების სტანდარტული მათემატიკური უზრუნველყოფის ალგორითმები და პროგრამები; სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემების მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა.

1974-1977 წ.:

მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის ასპირანტი; ამავე კათედრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ქ. მოსკოვი, რუსეთი). სპეციალური ნაკეთობებისათვის დაამუშავა რადიოლოკაციური ინფორმაციის დამუშავების ალგორითმები

და პროგრამები მოძრავი ობიექტების (თვითმფრინავები, რაკეტები) ჯგუფის აღმოჩენისა და მიყოლის მიზნით.

1972-1974 წ.

მრეწველობის ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი (ქ. გორი).

მონაწილეობდა კვების მრეწველობის ობიექტების ავტომატიზაციის საშუალებების დამუშავებაში.

9. ლექტორის  
გამოცდილება

1975-1976 – კითხულობდა ლექციებს მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში (რუსულად).

1979-1993 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, პროფესორი; გამოთვლითი ტექნიკის და საინფორმაციო გამზომი სისტემების კათედრები (ქართულად და რუსულად).

2003-2007 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა (ქართულად და რუსულად).

1996-2006 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის კათედრის სრული პროფესორი (ქართულად).

2006-2007 (გაზაფხული) – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი (ქართულად და რუსულად).

2007-2012 - ლაჰორის სახელმწიფო კოლეჯ-უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მაცნიერებათა სკოლის სრული პროფესორი (პაკისტანი) (ინგლისურად).

2011 (შემოდგომის სემესტრი) – შავი ზღვის უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო) (ინგლისურად).

2012-2015 – თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევის ცენტრი (ინგლისურად).

2011 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

10. სხვა საქმიანობა:

1994 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (შეთავსებით).

2019 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (შეთავსებით).

2001-2005 წლებში

ის იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსის მოადგილე.

1996-2005 წლებში

იყო საქართველოს განათლების სამინისტროს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის რექტორი.

2002-2006 წლებში

ის იყო მსოფლიო ბანკის ARET პროექტის კონსულტანტი (<http://ARETP.ge>).

იყო სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის პრობლემის “ქიმიური ტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები” სექციის “ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების და წარმოების სისტემური ანალიზი” წევრი, აგრეთვე იყო საქართველოს სსრ-ს მეცნიერებათა აკადემიის კომისიის “ეკოლოგიური სამსახური და მონიტორინგის პროგრამის გეოფიზიკური ასპექტები. სისტემური კვლევების და მათემატიკური მოდელირების სისტემური კვლევების მეთოდოლოგია” გაერთიანებული პრობლემური ბლოკის მუშა ჯგუფის წევრი.

იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროეკოლოგიური ს/კ ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი ქვეყნის აგროეკოლოგიური მონიტორინგის შექმნის საკითხებში.

იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის სექციის “ხელსაწყოთმშენებლობა” ბიუროს წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 233 სამეცნიერო შრომა. მათ შორის ექვსი მონოგრაფია, ოთხი სახელმძღვანელო და ერთი მეთოდური მითითება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და ერთი ბროშურა.

მონაწილეობდა მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმის, კონგრასის მუშაობაში. მათ შორისაა: თბილისი, საქართველო (1995, 1999, 2000, 2001, 2005, 2007, 2010, 2011, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019), ჩაქვი, საქართველო (2004), ლიკანი, საქართველო (2006), ტაბახმელა, საქართველო (2005), კიევი, უკრაინა (1998, 2002), სევასტოპოლი, უკრაინა (1996, 1997, 1999, 2000), ულან-უდე, რუსეთი (1997), მოსკოვი, რუსეთი (2000, 2013), სანკ-პეტერბურგი, რუსეთი (2004), ბაქო, აზერბაიჯანი (2002), ალმა-ატა, ყაზახეთი (2002), ჟენევა, შვეიცარია (2000, 2003, 2005), ორლანდო, აშშ (2001), ლიმასოლი, კვიპროსი (2001), ვარნა, ბულგარეთი (2002), სინგაპური (2004), ლაჰორი, პაკისტანი (2008, 2009, 2011), ბანდა, ინდონეზია (2008), ბანგკოკი, ტაილანდი (2008), ტალინი, ესტონეთი (2008, 2009), ბრესტი, საფრანგეთი (2009), სტამბოლი, თურქეთი (2010), კუვეიტი (2011), ტიანჯინი, ჩინეთი (2012), დუბაი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები (2012), ათენი, აშშ (2013), იოგიაკარტა, ინდონეზია (2013), მოსკოვი, რუსეთი (2013), კოლომბო, შრი-ლანკა (2014), ტრივანდრუმი,

ინდოეთი (2015, 2016, 2017), რუენი, საფრანგეთი (2017), ჰანოი, ვიეტნამი (2019), ბინგჰამპტონი, აშშ (2019) და სხვა.

ის იყო ინდუსტრიული ინჟინერინგის და ინჟინერინგის მართვის საერთაშორისო კონფერენციის საპროგრამო ტექნიკური კომიტეტის წევრი, სინგაპურში, 2008 წელს <http://www.ieem2008.org/tpc.asp>) და ინოვაციის მართვისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო კონფერენციის (ICMIT) პროგრამის ტექნიკური კომიტეტის წევრი, რომელიც ჩატარდა სინგაპურში 2010 წელს. აგრეთვე, ის იყო სექციის თავჯდომარე სინგაპურის (2004) და ტაილანდის (2008) საერთაშორისო კონფერენციებზე. ის იყო საერთაშორისო კონფერენციის ICCES'10 სიმპოზიუმის “თანამედროვე სტატისტიკური მოდელები ინჟინერინგში და მეცნიერებებში” ორგანიზატორი, ლას-ვეგასი, აშშ (2010). ის იყო ელექტრონული ბიზნეს ტექნოლოგიების და სტრატეგიის (iCETS 2012) საერთაშორისო კონფერენციის საპროგრამო კომიტეტის და ერთ-ერთი სესიის თავჯდომარე, ტიანჯინი, ჩინეთი, 29-31 აგვისტო, 2012 (<http://icets.info/2012china/organization/program-committee/>). ის იყო სექცია II-ის თავჯდომარე საერთაშორისო კონფერენციის მათემატიკაში, სტატისტიკაში და სამეცნიერო გამოთვლებში (ICMSSC 2012), დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, 8-9 ოქტომბერი, 2012 (<http://www.waset.org/programs/Dubai2012.pdf>). იყო მეორე საერთაშორისო კონფერენციის “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები” საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი, მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95-ე და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 45-ე წლისთავებს. 4-7 სექტემბერი, 2013. ის იყო სპეციალურად მიპატიჟებული მომხსენებელი, სესიის ორგანიზატორი და სესიის თავჯდომარე საერთაშორისო კონფერენციაზე 21-ე საუკუნის სტატისტიკა [ICSTC-2015], 17-19 დეკემბერი, 2015, ტრივანდრუმი (ინდოეთი) (<http://www.icstckerala.in/speakers.php>). ის იყო მრჩეველთა კომიტეტის წევრი, მიპატიჟებული მომხსენებელი, სექციის ორგანიზატორი და სექციის თავჯდომარე მეორე საერთაშორისო კონფერენციის “21-ე საუკუნის სტატისტიკა” [ICSTC-2016], 21-23 დეკემბერი, 2016, ტრივანდრუმი (ინდოეთი) (<http://www.icstckerala.com/index.php>). ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი “კლიმატის ცვლელადობის 5-ე წლიური კონგრესის”, აგვისტო, ბირმინგემი, ინგლისი (<http://climatechange.alliedacademies.com/organizing-committee>). ის იყო საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის



წევრი 4-ე საერთაშორისო კონფერენციის გარემოს დაგეგმვისა და მართვის (ICEPM), რომელიც ორგანიზებული იყო თეირანის უნივერსიტეტის მიერ, თეირანი, ირანის ისლამური რესპუბლიკა, 23-24 მაისი, 2017. ის იყო სპეციალურად მიწვეული მომხსენებელი და სექციის თავჯდომარე 6-ე საერთაშორისო კონფერენციის მიმდევრობით მეთოდოლოგიაში (IWSM 2017), ივნისი, 2017, რუენი, საფრანგეთი, (<http://lmrs.univ-rouen.fr/RMR17/index.html>). ის იყო მრჩეველთა კომიტეტის წევრი, მიპატიჟებული მომხსენებელი და სექციის თავჯდომარე მესამე საერთაშორისო კონფერენციის “ოცდამეერთე საუკუნის სტატისტიკა-2017” [ICSTC-2017], დეკემბერი 2017, ტრივანდრუმი, ინდოეთი და, აგრეთვე, მრჩეველთა კომიტეტის წევრი მეორე ნაციონალური მუშა შეხვედრის “სტატისტიკური მეთოდები მონაცემთა ანალიზისათვის R-ის გამოყენებით (SMDA-2017)”, 23-28 ოქტომბერი, კარელას უნივერსიტეტი, ტრივანდრუმი, ინდოეთი. ის იყო ეკოლოგიაში მსოფლიო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 19-20 მარტი, 2018, ბერლინი, გერმანია <http://ecology.conferenceseries.com/organizing-committee.php>. ის იყო 2-ე ყოველწლიური კონგრესის ნიადაგისა და წყლის მეცნიერებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომელიც გაიმართა 2018 წლის 22-23 ოქტომბერს ბერლინში, გერმანია <https://soilscience.conferenceseries.com/>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი “გლობალური კონფერენცია გლობალურ დათბობაში-2018”, ვალენსია, ესპანეთი <http://scientificfederation.com/global-warming-2018/organizing-committee.php>. ის იყო საერთაშორისო საპროგრამო კომიტეტის წევრი საერთაშორისო კონფერენციის “საინფორმაციო საზოგადოება და ტექნოლოგიები განათლების ინტენსიფიკაციისათვის”, მიძღვნილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იუნესკოს კათედრის “ინფორმაციული საზოგადოება” 15-ე წლისთავს, 28-29 სექტემბერი, 2018, თბილისი, საქართველო <http://conf-unesco.gtu.ge/eng.php>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი საერთაშორისო კონფერენციის “დედამიწის მეცნიერება და კლიმატის ცვალებადობა”, ციურიხი, შვეიცარია, სექტემბერი 06-07, 2018, <https://www.meetingsint.com/conferences/earthscience>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 3-ე მსოფლიო სამიტის კლიმატის ცვალებადობა და გლობალური დათბობა, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, თებერვალი 27-28, 2019, <https://climate.euroscicon.com/organizing-committee>. ის იყო მრჩეველთა საბჭოს წევრი და ძირითადი მომხსენებელი „მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის



21-ე საუკუნის სტატისტიკა – 2018 [ICSTC-2018]“, 13–15 დეკემბერი, 2018, ტრივანდრუმი, ინდოეთი, <http://www.icstckerala.com/icstckerala.com/>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 6-ე EuroSciCon-ის კონფერენციის გარემოს მეცნიერების და ინჟინერიის საკითხებში, ოსაკა, იაპონია, 07–09 ოქტომბერი, 2019 <https://environmentaleuroscicon.com/organizing-committee>. იყო მრჩეველთა საბჭოს წევრი და ძირითადი მომხსენებელი „მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის 21-ე საუკუნის სტატისტიკა – 2019 [ICSTC-2019]“, 18–20 დეკემბერი, 2019, ტრივანდრუმი, ინდოეთი. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და პლენარული მომხსენებელი საერთაშორისო კონფერენციის გამოყენებით მეცნიერებაში და ინჟინერიაში, 2020 წლის 20-21 აპრილი, დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემირატები. <https://phronesisonline.com/applied-science-engineering-conference/index.php#committee>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი კლიმატის ცვალებადობის მსოფლიო კონფერენციის, 19-21 ოქტომბერი, რომი, იტალია, <https://coalesceresearchgroup.com/conferences/climatechange/committeemembers>. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 2-ე საერთაშორისო კონფერენციის და გამოფენის კლინიკური მიკრობიოლოგია და ინფექციური დაავადებები, 18–19 ივნისი, 2020, მონრეალი, კანადა, <https://www.olcinternational.com/clinical-microbiology-2020//committee.php>. ის იყო საერთაშორისო კონფერენციის „სტრატეგიული მენეჯმენტი, გადაწყვეტილების თეორია და მონაცემთა მეცნიერება“, 4–6 იანვარი, 2020, კალკუტა, ინდოეთი, პლენარული სხდომა – VI-ის თავჯდომარე. ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი საერთაშორისო კონფერენციის “ანალიზი, სტოქასტიკა, გამოთვლები”, მიმდევნილი ნ. ვახანიას 90-ე წლისთავს. ის არის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ძირითადი მომხსენებელი ყოველწლიური შეხვედრის „კლიმატის ცვალებადობა და გარემოს მეცნიერებები“, ბანკოკი, ტაილანდი, 5–6 ოქტომბერი, 2020. <http://www.globalepisteme.org/Conference/climate-environmentalscience/members>. ის იყო საპროგრამო კომიტეტის წევრი 4-ე საერთაშორისო კონფერენციის გამოყენებით მათემატიკაში და მეცნიერებებში (AMA 2020), ოქტომბერი 24–25, 2020, დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემირატები. [https://csen2020.org/ama/\\_committee.html](https://csen2020.org/ama/_committee.html). ის იყო ძირითადი მომხსენებელი და სესიის ორგანიზატორი მეექვსე საერთაშორისო კონფერენციაზე 21-ე საუკუნის სტატისტიკა–2020 (ICSTC 2020), დეკემბერი 16–19, ტრივანდრუმი, ინდოეთი. <https://sites.google.com/>

[keralauniversity.ac.in/icstc-2020/home](http://keralauniversity.ac.in/icstc-2020/home). ის იყო მრჩეველთა კომიტეტის წევრი, ძირითადი მომხსენებელი და სესიის „ალბათური მეთოდები სტატისტიკაში“ ორგანიზატორი 2021 წლის 29 ივნისიდან 01 ივლისის ჩათვლით ჩატარებულ საერთაშორისო დონის ვებ-სემინარის "სტატისტიკური თეორიისა და პროგრამების უახლესი ტენდენციები (WSTA 2021)" დაკავშირებული „2021 წლის სტატისტიკის ნაციონალური დღის აღნიშვნასთან“, ტრივანდრუმი, ინდოეთი, <https://sites.google.com/keralauniversity.ac.in/wsta-2021/advisory-committee>, <https://sites.google.com/keralauniversity.ac.in/wsta-2021/speakers/keynote-speakers>, <https://sites.google.com/keralauniversity.ac.in/wsta-2021/speakers/speakers>. ის იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XI საერთაშორისო კონფერენციის „ალბათობა და სტატისტიკა. ფინანსური მათემატიკა“ სესიის თავჯდომარე, ბათუმი, საქართველო, 23-28 აგვისტო, 2021. ის არის საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტის წევრი „2022 აზია-წყნარი ოკეანის კონფერენციის გამოყენებით მათემატიკასა და სტატისტიკაში“, რომელიც ვირტუალურად ჩატარდება 2022 წლის 20-22 თებერვალს, <https://www.apcams.org/comm>.

1978 –1979 წ.წ.-ში იყო IMACS -ის ტერიტორიული ჯგუფის სწავლული მდივანი.

1981-1991 წ.წ.-ში იყო უსსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური თბოტექნიკის ინსტიტუტის მიერ გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის პრობლემების სისტემურ საკითხებზე ჩატარებული ყოველწლიური საკავშირო კონფერენციების ორგკომიტეტის წევრი.

1993-2006 წ.წ.-ში ის იყო მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ბაზისური სისტემების კომისიის (CBS) წევრი. [http://www.bafg.de/nn\\_293294/GRDC/EN/01 GRDC/01 Rationale/05 WMO regions/composition\\_wmo\\_publication5,templateId=raw,property=publicationFile.pdf/composition\\_wmo\\_publication5.pdf](http://www.bafg.de/nn_293294/GRDC/EN/01_GRDC/01_Rationale/05_WMO_regions/composition_wmo_publication5,templateId=raw,property=publicationFile.pdf/composition_wmo_publication5.pdf)

1996-1997 წ.წ.-ში ის იყო სამეცნიერო ჟურნალის “გენეტიკური ეკოლოგია” სარედაქციო კოლეგიის წევრი. დღეისათვის ის არის სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობების მიერ გამოცემული 30 საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

1974-1991 წლებში ის მუშაობდა დახურულ თემატიკაში თავდაცვის პრობლემებზე მოძრავი ობიექტების აღმოჩენისა და მიდევნების სისტემები, სპეციალური გამზომი მოწყობილობები.

11. დამატებითი ინფორმაცია: მობილური: (+995599) 743367; ი-მეილი: [k.kachiashvili@gtu.edu.ge](mailto:k.kachiashvili@gtu.edu.ge), [kkachiashvili@gmail.com](mailto:kkachiashvili@gmail.com).  
<http://science.gtu.ge/cat/1>, 2, ..., 15.

აქვს კომპიუტერთან მუშაობის 50 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. დაუმუშავებია პროგრამები პროგრამირების ენებზე: ალგოლი, ფორტრანი, ბეისიკი, პასკალი, დელფი, MATLAB. იცის თანამედროვე პროგრამული საშუალებები: Word, Excel, Photoshop, Paint, Fine Reader, Acrobat Reader, Power point, Scientific Word, TEX, Front Page, Outlook Express, Internet Explorer, Access და სხვა.

მისი ხელმძღვანელობით IBM-თავსებადი პერსონალური კომპიუტერებისათვის შექმნილია სპეციალური პროგრამული პაკეტები: 1) ექსპერიმენტალური მონაცემების მათემატიკური დამუშავების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (SDpro) (Version 3.1); 2) მდინარეების ავარიული დამჭუჭყიანებლების ავტომატური აღმოჩენა (Version 2.0); 3) მდინარეებში გამჭუჭყიანებლების გავრცელების მათემატიკური მოდელების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (Version 2.0); 4) სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (Version 3.0); 5) წყლის გარემოს გაჭუჭყიანების დონის კონტროლის ავტომატიზებული სისტემა (Version 2.1); 6) გამოთვლითი მათემატიკის გამოყენებითი ამოცანების პროგრამული მოდელების ბიბლიოთეკა (Version 5.0); 7) ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრის პროგრამული პაკეტი (Version 1.0) და სხვა.

პროგრამულმა პაკეტმა “წყლის გარემოს გაჭუჭყიანების დონის კონტროლის ავტომატიზირებული სისტემა (Version 2.1)” (შექმნილი იყო ქ. რიგისათვის, ლატვია). 1991 წელს ქ. ტოლიატში საერთაშორისო ფორუმზე “ინფორმატიკა ეკოლოგიისა და ჯანმრთელობის სამსახურში” დაიკავა პირველი ადგილი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი ცნობილი ფირმა ევროპიდან, ამერიკიდან და აზიიდან. სამუშაო შესრულებული იყო ბალტიის ზღვის ეკოლოგიური პროგრამის ფარგლებში.

პაკეტებმა: “მდინარეების ავარიული დამჭუჭყიანებლების ავტომატური აღმოჩენა (Version 2.0)”; “მდინარეებში გამჭუჭყიანებლების გავრცელების მათემატიკური მოდელების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (Version 2.0)”; “გაზომილი ინფორმაციის მათემატიკური დამუშავების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (SDpro) (Version 3.1)”; “ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების გამოყენებითი პროგრამული პაკეტი (Version 2.0)” დაიკავეს პირველი ადგილი და მიიღეს მთავარი

პრიზი საქართველოში დამუშავებული პროგრამული პროდუქციის გამოფენაზე (“SofTEC’ 99”), რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა 1999 წლის ივნისში.

ამ პაკეტების აღწერა და მათში რეალიზებული მეთოდები არიან გამოქვეყნებული მრავალ სამეცნიერო ნაშრომში და მოხსენებულია მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე ავტორის მიერ. მათი აღწერა აგრეთვე გამოქვეყნებულია ევრო-გაერთიანების მონაცემთა ბაზის CORDIS-ის Web გვერდზე ([www.cordis.lu/marketplace](http://www.cordis.lu/marketplace), <ftp://ftp.cordis.europa.eu/pub/focus/docs/res32.pdf>) შესაბამისი ნომრებით (RCN): 27061, 27062, 27069, 27070, 27071, 27072, 27073, 31061 და მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ჟურნალში “CORDIS focus. Technology opportunities today” Issue n<sup>o</sup> 35 – July 2002 (გვ. 18 - 19). ამ პაკეტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია აგრეთვე მონაცემთა ბაზის <http://www.globaltechnoscan.com> Web-გვერდზე.

| 13. ენები: | ლაპარაკობს  | კითხულობს   | წერს        |
|------------|-------------|-------------|-------------|
| ქართული    | სრულყოფილად | სრულყოფილად | სრულყოფილად |
| რუსული     | სრულყოფილად | სრულყოფილად | სრულყოფილად |
| ინგლისური  | კარგად      | კარგად      | კარგად      |
| ფრანგული   | ცუდად       | ცუდად       | ცუდად       |

### სწავლების გამოცდილება ბოლო წლებში:

#### 1990-1993

- გაზომილი ინფორმაციის დამუშავების სტატისტიკური მეთოდები, საინფორმაციო გამზომი ტექნიკის კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)
- პროდუქციის ხარისხის კონტროლის სტატისტიკური მეთოდები, საინფორმაციო გამზომი ტექნიკის კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)

#### 1996-2006

- მონაცემთა დამუშავების სტატისტიკური მეთოდები და შესაბამისი პროგრამული საშუალებები, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმტიკის კათედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (საქართველო); (ქართულად)
- გარემოს დაბინძურების კონტროლისა და მართვის მათემატიკური მეთოდები, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმტიკის კათედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (საქართველო); (ქართულად)

- ეკოლოგიის სტატისტიკური მეთოდები, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის კათედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (საქართველო); (ქართულად)
- ინფორმატიკის საფუძვლები, გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის კათედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (საქართველო). (ქართულად)

### 2003-2007

- კვლევის სტატისტიკური მეთოდები, მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)
- სტატისტიკური მოდელების თეორია და პრაქტიკა. პროგნოზირების მეთოდები. მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)
- კომპიუტერული მართვის სტატისტიკური მოდელები, მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)

### 2007

- ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების მათემატიკური მეთოდები და კომპიუტერული საშუალებები, ეკონომიკური ურთიერთობების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად, რუსულად)

### 2007-2012, 2015 (გაზაფხული)

- სტატისტიკური მოდელები და სიმულაცია SPSS-ის გამოყენებით, ლაჰორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლა (პაკისტანი) (ინგლისურად);
- მონტე-კარლოს მეთოდები SPSS-ის გამოყენებით, ლაჰორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლა (პაკისტანი) (ინგლისურად).

### 2011

- სტატისტიკური მოდელები, მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო); (ქართულად)
- რაოდენობრივი ანალიზი მენეჯერებისათვის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (თბილისი) (ინგლისურად).

### 2013-2020

- ბიზნეს პროცესების მოდელირება (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი); (ქართულად)
- სტატისტიკური ინფორმაციის კომპიუტერული ანალიზის სისტემები (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი) (ქართულად)
- სტატისტიკური მეთოდების გამოყენება კვლევებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ცენტრი) (ინგლისურად).

### 2021

- ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა



- ოპერაციათა კვლევა

ლექციებს ვკითხულობ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ვარ 2019 წელს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საბაკალავრიატო საგანმანათლებლო პროგრამის “კომპიუტერული მეცნიერება” ხელმძღვანელი.

### სსრკ-ს დაშლის შემდეგ მის მიერ შესრულებული პროექტები და გრანტები

1. “ნივთიერებების ხარისხის კონტროლის მეტროლოგიური უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის მეთოდები, ალგორითმები და პროგრამები”, ნაწილი I, (პროექტის მენეჯერი პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი) საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი გრანტი, 1997-1998.
2. “ნივთიერებების ხარისხის კონტროლის მეტროლოგიური უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის მეთოდები, ალგორითმები და პროგრამები”, ნაწილი II, (პროექტის მენეჯერი პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი) საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი გრანტი, 1998-1999.
3. “გარემოს ობიექტების მდგომარეობის კონტროლისა და მართვისათვის პროგნოზისა და გადაწყვეტილების მიღების გამოყენებითი პროგრამული პაკეტის დამუშავება და გამოკვლევა”, პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკოლოგიური უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (საქართველოს ნაციონალური სამეცნიერო ფონდი) გრანტი, 2005.
4. “ფერმერული მეურნეობების მდგრადი განვითარების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდელების დამუშავება და მათი რეალიზაცია პროგრამული პაკეტების სახით (სამეგრელოს რეგიონის რამდენიმე რაიონის მაგალითზე)”, პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (საქართველოს ნაციონალური სამეცნიერო ფონდი) გრანტი, 2005.
5. საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის G-047 “ავტომატიზებული სისტემების დახმარებით მდინარეების დაბინძურების წყაროების იდენტიფიკაცია”. მენეჯერი, 1998-2000; (<http://www.istc.ru>)
6. INTAS – GEORGIA – 1738 პროექტში “მცირე მდინარეებით ზღვაში გამჭუჭყიანებლების გადატანა”. ქართული ჰგუფის ლიდერი, 2000-2002. [http://ica.cordis.lu/search/index.cfm?fuseaction=proj.simplifieddocument&RJ\\_RCN=594...](http://ica.cordis.lu/search/index.cfm?fuseaction=proj.simplifieddocument&RJ_RCN=594...)
7. საქართველო-საბერძნეთის გაერთიანებული კვლევითი და ტექნოლოგიური პროექტის “მიმდებარე მიწის ნაკვეთებიდან ზღვაში გამჭუჭყიანებლების გადატანა”. ქართული ჯგუფის ლიდერი, 1998-2000. <http://www.hri.org/gsrt/html/gr/erga/die/elinogeorgiani.html>

8. საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის სამოგზაურო გრანტი აშშ-ში საერთაშორისო კონფერენციის “მსოფლიო წყალისა და გარემოს კონგრესი” მუშაობაში მონაწილეობისათვის, 20-24 მაისი, 2001, ორლანდო. (<http://www.istc.ru>)
9. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის სამოგზაურო გრანტი რომის (იტალია) უნივერსიტეტში “ლა საპიენზა” სამეცნიერო ვიზიტისათვის, მარტი, 2002. (<http://www.stcu.kiev.ua>)
10. გრანტი უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის მხარდაჭერით საერთაშორისო კონფერენციის “მზარდი ეკონომიკის პირობებში გარემოზე დატვირთვების კვლევა და მართვა” ჩატარებისათვის. პროექტის კოორდინატორი. ორგანიზატორები: იუნესკოს ვენის ოფისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრი, თბილისი, 16 – 21 სექტემბერი, 2002. (<http://www.stcu.kiev.ua>)
11. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული “სასოფლო – სამეურნეო კვლევის, დანერგვა – კონსულტირების და სწავლების” პროექტის გარემოს დაცვის კომპონენტის კონსულტანტი. 2002 წლის 15 აგვისტო – 2003 წლის 31 მარტი. (<http://ARETP.ge>)
12. საქართველო (კვლევისა და განვითარების საქართველოს ფონდი) – აშშ-ს (სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის) ერთობლივი პროექტის “მდინარეების წყლების გაჭუჭყიანების დონეების კონტროლისა და მართვისათვის დეტერმინირებული და სტოქასტიკური მათემატიკური მოდელების დამუშავება და კვლევა და მათი რეალიზაცია გამოყენებითი პროგრამული პაკეტის სახით” (2003 – 2004). სამეცნიერო ლიდერი. (<http://www.grdf.ge>)
13. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის სამოგზაურო გრანტი ჟენევის (შვეიცარია) საერთაშორისო კონგრესის “მდგრადი განვითარება მოქმედებაში” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სექტემბერი, 2003. (<http://www.stcu.kiev.ua>)
14. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული “სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების” პროექტის გარემოს დაცვის კომპონენტის კონსულტანტი. 2003 წლის 5 აგვისტო – 2005 წლის 31 იანვარი. (<http://ARETP.ge>)
15. საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის გ-895 “სი-ცოცხლის ხანგრძლიობისა და ხარისხის ამაღლება კავკასიის ხანდაზმულთა და ტრადიციული მედიცინის გამოცდილებების გათვალისწინებით” შემსრულებელი, 2004 – 2007. (<http://www.istc.ru>).
16. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის სამოგზაურო გრანტი ჟენევის (შვეიცარია) მე-2 საერთაშორისო კონგრესის “მდგრადი განვითარება მოქმედებაში” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სექტემბერი, 2005. (<http://www.stcu.kiev.ua>)
17. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული “სასოფლო – სამეურნეო კვლევის, დანერგვა – კონსულტირების და სწავლების” პროექტის გარემოს დაცვის კომპონენტის კონსულტანტი. ივლისი, 2005 წელი, ოქტომბერი, 2006 წელი. (<http://ARETP.ge>)



18. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის სამოგზაურო გრანტი ლონდონის “იმპერიალ კოლეჯში” სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავებისათვის, ივნისი, 2006 წელი. (<http://www.stcu.kiev.ua>)
19. საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის გ-400 “მაქსიმალური შესაძლო ჩაყრების დინამიკური კონტროლი მდინარის მდგომარეობისა და წყლის მომხმარებლების ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით”. მენეჯერი, დამტკიცებული იყო ფინანსური მხარდაჭერის გარეშე 2000 წელს; (<http://www.istc.ru>)
20. საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის გ-555 “სითხეში შეწონილი ნაწილაკების ავტომატური გრანულომეტრიკული ანალიზატორის დამუშავება”. მენეჯერი, დამტკიცებული იყო ფინანსური მხარდაჭერის გარეშე 2002 წელს; (<http://www.istc.ru>)
21. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის გრ-98 “მდინარეში მაქსიმალური შესაძლო ჩაყრების დინამიური გათვლების პროგრამული პაკეტის დამუშავება”. მენეჯერი, დამტკიცებული იყო ფინანსური მხარდაჭერის გარეშე 2003 წელს;
22. უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის 4217 “მდინარეების და ზღვის სანაპირო ზოლის დაზიანებების შემცირება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებით”. მენეჯერი, დამტკიცებული იყო ფინანსური მხარდაჭერის გარეშე 2007 წელს;
23. “მდინარეში მაქსიმალური შესაძლო ჩაყრების დინამიური კონტროლის მათემატიკური მოდელები და ალგორითმები”, პაკისტანის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების კომისიის გრანტი, 2008-2009.
24. “გემების კორპუსის დეფორმაციის მონიტორინგი, ECO-NET “, საფრანგეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის IFREMER-ის პროექტი, # 188605მ, 2008-2009. პარტნიორი ქვეყნები: საფრანგეთი, ესტონეთი და საქართველო.
25. საქართველოს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი საერთაშორისო კონფერენციაში ICCES2010 მონაწილეობის მისაღებად, 2010 წლის მარტი, ლას-ვეგასი, აშშ.
26. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი მათემატიკაში, სტატისტიკაში და სამეცნიერო გამოთვლებში საერთაშორისო კონფერენციის (ICMSSC 2012) მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, 8-9 ოქტომბერი 2012 წ., დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები.
27. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი (2013\_tr\_049) მიმდევრობით მეთოდოლოგიაში მეოთხე საერთაშორისო სამუშაო შეხვედრის (IWSM 2013) მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, 18-21 ივლისი 2013 წ., აშშ, ჯორჯიის შტატი, ქ. ათენი.
28. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი ((# 03/102 of 09.10.2014) საერთაშორისო კონფერენციის “სტატისტიკა და საზოგადოება ახალ ინფორმაციულ ასაკში: გამოწვევები და შესაძლებლობები” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ორგანიზებული იყო შრი-ლანკის გამოყენებითი სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ, ლუისვილის უნივერსიტეტის ბიო-ინფორმატიკისა და ბიო-სტატისტიკის დეპარტამენტთან, აშშ, ერთად, 28-30 დეკემბერი, 2014, სასტუმრო გალათარი, კოლომბო, შრი-ლანკა.
29. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი № AR/183/4-100/13 “ეფექტური ბიომეტრიული ტექნოლოგიების დამუშავება მსხვილმასშტაბიანი

- საარჩევნო სისტემის მაგალითზე”, მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 04.2014-04.2016.
30. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი (tg3\_2016\_1\_109 of August, 2016) საერთაშორისო კონფერენციის “21-ე საუკუნის სტატისტიკა [ICSTC-2016]” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ორგანიზებული იყო კერალას უნივერსიტეტის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, კერალას უნივერსიტეტი, 21-23 დეკემბერი, 2016, ტრივანდრუმი, ინდოეთი (<http://rustaveli.org.ge/>).
31. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი (MG\_23) “მესამე საერთაშორისო კონფერენციის სტატისტიკა 21-ე საუკუნისათვის–2017 (ICSTC-2017)” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ორგანიზებული იყო კერალას უნივერსიტეტის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, კერალას უნივერსიტეტი, 14-16 დეკემბერი, 2017, ტრივანდრუმი, ინდოეთი (<http://rustaveli.org.ge/>).
32. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი (MG\_TG-18-236) “მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია 21-ე საუკუნის სტატისტიკაში 2018 [ICSTC-2018]” მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ორგანიზებული იყო კერალას უნივერსიტეტის სტატისტიკის და ამერიკის სტატისტიკური საზოგადოების მიერ, 13-15 დეკემბერი, 2018, ტრივანდრუმი, ინდოეთი (<https://www.yepdesk.com/icstc2018>).
33. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტი (MG\_TG-19-126) მიმდევრობით მეთოდოლოგიაში 7-ე საერთაშორისო სამუშაო შეხვედრის (IWSM) მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ორგანიზებული იყო ბინგჰემპტონის უნივერსიტეტის მათემატიკური მეცნიერებების დეპარტამენტის მიერ, 18-21 ივნისი, 2019, ნიუ-იორკი, აშშ.
34. მოსახლეობისა და ურბანული კრიტიკული ინფრასტრუქტურის საფრთხეების მოდელირება და სცენარების ანალიზი (წარდგენილია 2020 წლის ბოლოს) მრავალწლიანი პროექტის განაცხადი ნატოში. თანა-დირექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
35. სტატისტიკური დასკვნების გაკეთების თანამედროვე პარალელური და მიმდევრობითი მეთოდების დამუშავება და კვლევა (წარდგენილია 2021 წლის მაისში). შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო გრანტების ორწლიანი პროექტი. პროექტის ხელმძღვანელი.

### ბოლო წლების გამოცდილება კონსულტირებაში

ბოლო წლებში ორმა მეცნიერმა აიმაღლა კვალიფიკაცია მისი ხელმძღვანელობით ლაპორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლაში (პაკისტანი):

1. პროფ., დოქტორი ბუდი ნურანი რუჩჟანა, მათემატიკის დეპარტამენტი, რადჟადჟარანის უნივერსიტეტი, ბანდუნგი, ინდონეზია, 2008, [bnurani@gmail.com](mailto:bnurani@gmail.com).
2. დოქტორი ჰაიოტოვი აბდულო, მათემატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემია, ტაშკენტი, 2008, [hayotov@mail.ru](mailto:hayotov@mail.ru).

მისი ხელმძღვანელობით ორმა ასპირანტმა 2011 წლის მაისში დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები ლაჰორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახელობის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლაში (პაკისტანი):

1. მუნთაზიმ აბას ჰაშიმი, [muntazimabbas@gmail.com](mailto:muntazimabbas@gmail.com); [muntazimabbas@yahoo.com](mailto:muntazimabbas@yahoo.com);

დისერტაციის სათაური: “მრავალგანზომილებიანი ნორმალური განაწილების პარამეტრების მიმართ მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ბაიესის მეთოდები”.  
[http://www.sms.edu.pk/wp-content/uploads/2017/09/Theses\\_PhD.pdf](http://www.sms.edu.pk/wp-content/uploads/2017/09/Theses_PhD.pdf)

2. აბდულ მუიდი, [abduleueed3@hotmail.com](mailto:abduleueed3@hotmail.com); [amueed1596\\_y2k@hotmail.com](mailto:amueed1596_y2k@hotmail.com);

დისერტაციის სათაური: “მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ბაიესის მეთოდის განზოგადოება პირობითი ოპტიმიზაციის ამოცანის სახით”. [http://www.sms.edu.pk/wp-content/uploads/2017/09/Theses\\_PhD.pdf](http://www.sms.edu.pk/wp-content/uploads/2017/09/Theses_PhD.pdf)

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრანტმა ი.ქ. ყაჭიაშვილი მისი ხელმძღვანელობით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „საქართველოს დასახლებული პუნქტების კლასიფიკაცია სიმსივნური დაავადების გავრცელების ინტენსიურობის მიხედვით“, 2020 წელი.

დოქტორანტმა ი.ა. ფრანგიშვილმა მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად 2022 წლის 24 იანვარს.

### საპატიო წოდებები და წევრობა

- 1978 წელს სსრკ-ს უმაღლესმა საატესტაციო საბჭომ მას მიანიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი;
- 1983 წელს სსრკ-ს უმაღლესმა საატესტაციო საბჭომ მას მიანიჭა უფროსი მეცნიერთანამშრომლის სამეცნიერო წოდება;
- 1990 წელს სსრკ-ს უმაღლესმა საატესტაციო საბჭომ მას მიანიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;
- 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მას მიანიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება;
- 1997-2000 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს Ph.M.01.08.CN#5 წევრი.
- 1997-2006 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს T 05.13.CN#4 წევრი.
- 2020 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი ინფორმატიკაში, მართვაში და ხელსაწყოთმშენებლობაში.
- 2020 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.
- 2020 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სათათბიროს წევრი.
- ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარდამავალი კომიტეტი SDSU to GTU Programs Transition Committee (“Transition Committee”)-ის წევრი.

- ვარ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ABET-ის კომისია“-ს წევრი.
- 1993 წ.-დან არის კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის (უკრაინა) ნამდვილი წევრი. არის აღნიშნული აკადემიის საქართველოს განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.
- 1993 წ.-დან არის საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის და ადამიანის პროფილაქტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი.
- 1994 წ.-დან არის საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი.
- 2010 წლიდან ის არის ინდონეზიის მათემატიკური საზოგადოების ჟურნალის: *სერია ა – მათემატიკა* (<https://jims-a.org/index.php/jimsa/about/editorialTeam>) სარედაქციო საბჭოს წევრი.
- 2011 წლის 11 ივლისიდან ის არის საერთაშორისო ჟურნალის “**Open Journal of Ecology**” (Scientific Research Publishing, Inc. USA) სარედაქციო საბჭოს წევრი (<http://www.scirp.org/journal/oje>). იმპაქტ ფაქტორი (IF) არის 0.66.
